ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.27/10/030

ქ. თბილისი 03 აპრილი 2018 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) ბექა მიქაუტაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ გიორგი ტატიაშვილი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი.**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ელექტრო ენერგიის გამანაწილებლების, ნათურების და საიზოლაციო ლენტას** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით: CPVკოდი: **31200000-ელექტროენერგიის გამანაწილებლები და საკონტროლო აპარატურა; 31531000-ნათურები; 31651000-საიზოლაციო ლენტა.**

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **671,70 (ექვსას სამოცდათერთმეტი) ლარი და 70 თეთრი,** მ/შორის:

№	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რ–ბა	ერთ. ფასი	სულ (ლარი)
1	31223000	ელ. ვაზნა	ცალი	10	1	10
2	31224100	ელ. ამომრთველი 2*32	ცალი	5	6,5	32,5
3	31224100	ელ. ამომრთველი 2*40	ცალი	2	11	22
4	31224100	ელ. ამომრთველი 3*63	ცალი	2	20	40
5	31224810	ელ. დამაგრძელებელი 5მ	ცალი	5	10	50
6	31224810	ელ. დამაგრძელებელი 5მ ჩასაერთებლიანი	ცალი	5	12	60
7	31230000	ელ. ინდიკატორი	ცალი	4	1,8	7,2
		ჯამი				**221,7**
8	31531000	ნათურა დიოდზე 7ვტ	ცალი	50	5	250
9	31531000	ელ. ეკონომიური ნათურა 20ვტ	ცალი	50	3,8	190
		ჯამი				**440**
10	31651000	იზოლენტა 0,13მმ*17მმ*25მ	ცალი	5	2	10
		ჯამი				**10**
		სულ ჯამი				**671,70**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქონლის მიწოდების და მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 12 აპრილის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ **ნათია სორდია-** იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი);

კახა გოგატიშვილი - ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი);

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღისა.

9.2 ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

9.3 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 5(ხუთი) კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა; აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება მიწოდებული საქონლის მომსახურების ექსპერტიზა.

9.5 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულების 6.2 პუნქტში მითითებული პირი.

9.6 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1% ოდენობით.

10.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის (დეეტის აღმოფხვრისთვის ან ახლით შეცვლისთვის განსაზღვრული ვადის) დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 % ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02% ოდენობით,

10.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
გლდანის რაიონის გამგეობა	**ი.მ. „გიორგი ტატიაშვილი"**
მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. #1ბ	მის: მეტრო „ს. ახმეტელი"-ს მ/ტ
ს/კოდი: 209466843	ს/კოდი: 01004004092
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა"	სს „საქართველოს ბანკი"
კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა # GE30BG0000000176025200
ტელ: +995 32 2 381 980	ტელ. +995 599 53 65 76; +995 593 68 41 43 (ილია)
	ელ-ფოსტა: iliadzigurashvili@mail.ru
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)- ბექა მიქაუტაძე	**ი/მ - გიორგი ტატიაშვილი**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 03 აპრილი 2018 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის „03" აპრილის №10.27/10/030 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ელექტრო ენერგიის გამანაწილებლების, ნათურების და საიზოლაციო ლენტას** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (**ი/მ გიორგი ტატიაშვილი**- 01004004092) ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბექა მიქაუტაძე ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

ნათია სორდია ----------

კახა გოგატიშვილი ----------